




ავტორები: გიორგი ნებულიშვილი, დავით კუშელავა

მაკროეკონომიკური მიმოხილვა: მსოფლიო ეკონომიკის შენელების ფონზე, მშპ-ის ზრდის პროგნოზმა პროგნოზირებულ ნიშნულს გადააჭარბა



შეჯამება

2022 წლის მსგავსად, COVID-19-ის პანდემიის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკა 2023 წელსაც აღდგენის პროცესში იყო. [საქსტატის წინასწარი შეფასების თანახმად](#), რეალური მშპ-ის მაჩვენებელი კვლავ შედარებით სწრაფი ტემპით იზრდება და მან 2023 წელს 7,5% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ [2023 წლის ოქტომბერში პროგნოზირებულ 6%-ს](#). 2023 წელს გლობალური ეკონომიკის აღდგენის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო მაღალი ინფლაციური წნეხითა და შეზღუდული ფინანსური გარემოთი, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა არსებული რთული გეოპოლიტიკური ვითარება. მიუხედავად იმისა, რომ მე-4 კვარტალში საგარეო მოთხოვნა შემცირდა და, შედეგად, საქართველოში შემცირდა ექსპორტიც, ეკონომიკური ზრდა კვლავ სტაბილური იყო. ეს, უმეტესწილად, ტურისტული საქმიანობის შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი შემოსავლითა და გაზრდილი შიდა მოთხოვნით იყო განპირობებული.

ლარი გამყარდა, შედეგად კი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა. ინფლაციის დონე კვლავ დაბალი იყო, რაც განპირობებული იყო საყოფაცხოვრებო საქონელზე არსებული შედარებით სტაბილური მსოფლიო ფასებითა და ქვეყნის მკაცრი მონეტარული პოლიტიკით. 2023 წელს საქართველოში ინფლაციის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა და წლის ბოლოს 0.4%-ს მიაღწია. შემცირება, უმეტესწილად, ინფლაციის იმპორტის კომპონენტით იყო განპირობებული. მკაცრი მონეტარული პოლიტიკის მიუხედავად, მაღალმა ერთობლივმა მოთხოვნამ საპირისპირო ზეგავლენა იქონია ადგილობრივ ფასებზე.

საბაზო სცენარის თანახმად, მოსალოდნელია, რომ ჭარბი მოთხოვნა სრულად ნორმალიზდება 2024 წლის განმავლობაში, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი კი ეტაპობრივად შემცირდება.



მოსალოდნელია, რომ ეს ხელს შეუწყობს ინფლაციის სტაბილიზაციას სამიზნე ნიშნულამდე საშუალოვადიან პერიოდში ([სებ. იანვარი 2024](#)).

ალტერნატიული სცენარის თანახმად კი, სადაც გათვალისწინებულია მზარდი სესხების მაჩვენებელი, გაზრდილმა მოთხოვნამ შესაძლოა გააძლიეროს სამომხმარებლო ფასებზე არსებული წნეხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი შეაჩერებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების პროცესს და საკრედიტო აქტივობების ინსტენსიურობის ხარისხზე დაყრდნობით, შესაძლოა, კვლავ დაუბრუნდეს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ციკლს.

2021 წელს უმუშევრობის მაჩვენებლის ზრდასთან შედარებით, 2022 წელს უმუშევრობის მაჩვენებელი 16.4%-მდე შემცირდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო 16 წლის განმავლობაში ([საქსტატი](#)). სამუშაო ძალის წლიური მაჩვენებელი 1.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 53.3% შეადგინა. საქსტატის წინასწარ შეფასებაზე დაყრდნობით, 2023 წლის მე-4 კვარტალში საშუალო თვიური ნომინალური შემოსავალი 2044.5 ლარს შეადგენს.

საერთო ჯამში, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა, როდესაც რეალური მშპ 7.5%-ით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა მანამდე არსებულ მოლოდინს. გლობალური ეკონომიკური გამოწვევების მიუხედავად, ინფლაცია საგრძნობლად, 0.4%-მდე, შემცირდა. ეს, უმეტესწილად, იმპორტის კომპონენტით იყო განპირობებული, ადგილობრივი მოთხოვნა კი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. მცირე საგარეო მოთხოვნის გამო, შემცირდა გარე წყაროებიდან შემოდინებული ფულადი სახსრები. ეს, ნაწილობრივ, დაკომპენსირდა იმპორტის შემცირებით, რამაც განაპირობა შედარებით სტაბილური მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.

ინფლაცია

2023 წელს რთული საერთაშორისო გეოპოლიტიკური სიტუაციის გამო, გლობალური ეკონომიკის აღდგენის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რაც მაღალი ინფლაციური წნეხითა და შეზღუდული ფინანსური გარემოთი იყო გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ მე-4 კვარტალში მოთხოვნა შემცირდა და, შედეგად, საქართველოში შემცირდა ექსპორტიც, ეკონომიკური მაჩვენებელი კვლავ სტაბილური იყო. ეს, უმეტესწილად, ტურისტული საქმიანობის შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი შემოსავლით და ამ სფეროში გაზრდილი შიდა მოთხოვნით იყო განპირობებული.

ინფლაციის მაჩვენებელი, საგრძნობლად, წლის ბოლოსათვის უკვე 0.4%-მდე შემცირდა (დეკემბერი 2023) ([საქსტატი](#)) ამგვარი შემცირება, უმეტესწილად, ინფლაციის იმპორტის კომპონენტით იყო განპირობებული, ხოლო მკაცრი მონეტარული პოლიტიკის მიუხედავად, მაღალმა ერთობლივმა მოთხოვნამ საპირისპირო ზეგავლენა იქონია ადგილობრივ ფასებზე. ლარი გამყარდა, შედეგად კი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა. საბაზო ინფლაციის დონე კვლავ დაბალი იყო, რაც განპირობებული იყო საყოფაცხოვრებო საქონელზე არსებული შედარებით სტაბილური მსოფლიო ფასებითა და ქვეყნის მკაცრი მონეტარული პოლიტიკით.

2023 წლის მე-4 კვარტალში ლარის გაცვლითი კურსი წლიურ ჭრილში დადებითი იყო, თუმცა, წინა კვარტალთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან შედარებით 2.8%-ით, ხოლო ევროსთან შედარებით 1.6%-ით გაუფასურდა. ლარი რუსულ რუბლთან მიმართებით 4.3%-ით გაუფასურდა, თურქულ ლირასთან შედარებით კი 3.4%-ით გამყარდა. შედეგად, იმავე პერიოდში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურ ჭრილში 1.3%-ით გაუფასურდა, ხოლო წლიურ ჭრილში 16.3%-ით გამყარდა. შედეგად, იმავე პერიოდში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურ ჭრილში 3.2%-ით გაუფასურდა, ხოლო წლიურ ჭრილში 3.7%-ით



გამყარდა. წლიურ ჭრილში გამყარება განპირობებული იყო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარებით. მიუხედავად ამისა, ლარის კურსის ნომინალური გამყარებით გამოწვეული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შემცირება, უმეტესად, დაბალანსდა იმით, რომ საქართველოში სამომხმარებლო ფასების ზრდის მაჩვენებელი იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე ქვეყნის სავაჭრო პარტნიორებთან.

ზემოთ ჩამოთვლილი პროგნოზების მიუხედავად, ინფლაციასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, სამომავლო პერიოდებში აუცილებელია სესხების მაჩვენებლის მონიტორინგი, რათა საერთო ხარჯების ზრდამ არ გამოიწვიოს წნეხი სამომხმარებლო ფასებზე. გარდა ამისა, გამოწვევებით სავსე გლობალური პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, ფასები საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე რყევებით ხასიათდება. ბოლო პერიოდში გაიზარდა გაურკვევლობა საერთაშორისო გადაზიდვებთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, 2024 წლის ინფლაციის პროგნოზი შემცირდა, რამაც შეამცირა საერთო ინფლაციური რისკები საშუალოვადიან პერსპექტივაში.

შედეგად, ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არსებული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად 8%-მდე შეამცირა. ისიც აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ საქართველოს სუვერენული რისკების პრემიის შემცირება გამოიწვია, რაც, სავარაუდოდ, პოლიტიკის ნეიტრალურ განაკვეთზეც აისახება. ამგვარად, არსებული პოლიტიკა კვლავ საკმაოდ მკაცრია, საპროცენტო განაკვეთის პროგნოზირებული ტრაექტორია კი კვლავ მიგვანიშნებს ამგვარი პოლიტიკის ეტაპობრივად შერბილების აუცილებლობაზე. სავარაუდოდ, განაკვეთი ნეიტრალურ მაჩვენებელს (მიმდინარე პროგნოზის თანახმად 6,5-7%) მხოლოდ გეოპოლიტიკური რისკების საგრძნობლად შემცირების შემთხვევაში დაუბრუნდება [\(სებ. იანვარი, 2024\)](#).

სხვა სექტორები: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2023 წლის მე-4 კვარტალში არსებულმა დაბალმა საგარეო მოთხოვნამ განაპირობა გარედან შემოდინებული ფულადი სახსრების შემცირება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ექსპორტის შემცირებით იყო გამოწვეული, რაც, თავის მხრივ, საგარეო მოთხოვნის შემცირებამ განაპირობა. ამავდროულად, ბოლო თვეების განმავლობაში შემცირდა მოთხოვნა ავტომობილებზე, რამაც ავტომობილების რეექსპორტის შემცირება გამოიწვია. სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობა, რომელიც 2022 წელს უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გაიზარდა, ბოლო თვეებში ომამდე არსებულ მაჩვენებელს მიუახლოვდა. თუმცა სწრაფი ფულადი გადარიცხვის საერთო მოცულობა გაცილებით მაღალია, ვიდრე მიგრაციის ტალღის დაიწყებამდე იყო. ეს, დიდწილად, განპირობებულია აშშ-დან და ევროკავშირიდან შემოდინებული სწრაფი ფულადი გადარიცხვების ოდენობის ზრდით. ფულადი სახსრების ნაკადის შემცირება დაბალანსა საქონლის შემცირებულმა იმპორტმა და ბოლო პროგნოზების თანახმად, მოსალოდნელია მიმდინარე დეფიციტის მხოლოდ მცირედით ზრდა.

მე-4 კვარტალში შემცირებული საგარეო მოთხოვნა, ძირითადად, აისახა ადგილობრივი ექსპორტის, მათ შორის, სპილენძის მადნების, ღვინისა და ქიმიური სასუქების ექსპორტის შემცირებაში. ლარის გამყარებამ გამოიწვია სავაჭრო კონკურენტუნარიანობის შემცირება, შედეგად – ექსპორტის შემცირებაც. 2023 წლის მე-4 კვარტალში საქონლის ნომინალური ექსპორტის მაჩვენებელი წლიურ ჭრილში თითქმის არ შეცვლილა, რეალური ექსპორტის მაჩვენებელი კი მცირედით შემცირდა. ექსპორტირებული პროდუქციის უმეტესობას სამომხმარებლო საქონელი შეადგენდა, საინვესტიციო საქონელი კი – მთლიანი ექსპორტირებული საქონლის მხოლოდ მცირე ნაწილს. სამომხმარებლო პროდუქტების ექსპორტის ზრდა, დიდწილად, განპირობებული იყო ავტომობილების რეექსპორტით, რომლებიც



იყიდება არამხოლოდ რეგიონის, არამედ ცენტრალური აზიის ქვეყნებშიც. გაიზარდა ალკოჰოლური სასმელების, მედიკამენტების, სხვადასხვა ხილის და თამბაქოს ექსპორტიც ([საქსტატი](#)).

2023 წელს კვლავ გაგრძელდა საერთაშორისო ტურიზმის სექტორის აღდგენის პროცესი და საქართველოში შემომავალ ვიზიტორთა რაოდენობა კვლავ მაღალი იყო. მიუხედავად ამისა, ნაწილობრივ საბაზო ეფექტის გამო, ვიზიტორთა რიცხვი წლიური 1.5%-ით შემცირდა მე-4 კვარტალში და 1.5 მილიონი ვიზიტორი შეადგინა. ვიზიტორთა გაზრდილ რაოდენობასთან ერთად, ბოლო წლებში მუდმივად იზრდებოდა საერთაშორისო მოგზაურობის შედეგად მიღებული შემოსავალი. მიუხედავად ამისა, საბაზო ეფექტისა და მიგრაციის ნაკადების შემცირების გამო, საერთაშორისო მოგზაურობების შედეგად მიღებული შემოსავალი 2023 წლის მე-4 კვარტალში წლიურ ჭრილში 12.6%-ით შემცირდა და 874 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. თურქეთის გარდა, რეგიონის ქვეყნებიდან და ევროკავშირიდან შემოდინებული შემოსავალი კვლავ უზრუნველბოდა ძველ ნიშნულს ([საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2023](#)).

2023 წლის მე-4 კვარტალში საქართველოში შემოსული სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობა 43.3%-ით შემცირდა და 884 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა ([სებ](#)). შემცირება, უმეტესწილად, განპირობებულია საბაზო ეფექტით და რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობის ეტაპობრივი შემცირებით. 2022 წელს უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც განპირობებული იყო კაპიტალის და მიგრანტების შემოდინების ზრდით. 2023 წელს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მსგავსი ტიპის ფულადი გზავნილების მოცულობა ეტაპობრივად შემცირდა. შედეგად, შენელდა შემოდინებული ფულადი გზავნილების ზრდის ტემპი, თუმცა სხვა ქვეყნებიდან შემოდინებული ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაჩვენებლის ზრდაში ძირითადი წვლილი შეიტანა ევროკავშირიდან (3.2 პპ), აშშ-დან (2.3 პპ) და ყაზახეთიდან (1.1 პპ) შემოდინებულმა ფულადმა გზავნილებმა.

მოთხოვნა საქონლის იმპორტზე ზომიერად შემცირდა. მე-4 კვარტალში საქონლის იმპორტი შემცირდა წლიური 2.7%-ით, რაც განპირობებული იყო საერთაშორისო ბაზრებზე ფასების შემცირებით (როგორც საკვებზე, ისე ენერგორესურსებზე). ამგვარად, დანახარჯები იმპორტზე მნიშვნელოვნად შემცირდა. საქონლის ბაზრებზე დაწყებული ფასების კლების გამო, საქონლის ნომინალური იმპორტი არც თუ ისე მაღალი იყო. მიუხედავად ამისა, დაბალი ფასების გამო, საქონლის რეალური იმპორტი მე-4 კვარტალში წლიური 11%-ით გაიზარდა ([სებ, იანვარი 2024](#)).

2023 წლის მე-4 კვარტალში შუალედური საქონლის იმპორტმა ყველაზე დიდი უარყოფითი წილი შეიტანა იმპორტის ზრდის საერთო მაჩვენებელში. აღნიშნული ტიპის იმპორტის შემცირება, უმეტესწილად, დაკავშირებული იყო სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, აგრეთვე, ნავთობპროდუქტების შესყიდვის შემცირებით. მიუხედავად ამისა, გაიზარდა არალეგირებული ფოლადის დგარების, რკინის კონსტრუქციებისა და ვაქცინების იმპორტი. სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდა, უმეტესწილად, განპირობებული იყო ავტომობილების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მედიკამენტებისა და შერეული საქონლის შესყიდვების ზრდით. საინვესტიციო საქონლის იმპორტის ზრდა გამოწვეული იყო ავტომობილების, ტრაქტორების და სამშენებლო ავტომობილების შესყიდვების ზრდით ([საქსტატი](#)).

მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტის მაჩვენებლის შემცირება დაკავშირებული იყო რუსეთიდან (უმეტესად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების) და სომხეთიდან (სპილენძის, ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების) იმპორტის შემცირებით. ამავდროულად, შემცირდა სხვა ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტიც: უკრაინიდან (მონაცემთა ავტომატური დამუშავების დანადგარები და ერთეულები) და არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან (სატელეფონო მოწყობილობები). ამის საპირისპიროდ, გაიზარდა აშშ-დან



განხორციელებული იმპორტი, რაც გამოწვეული იყო ავტომობილების შესყიდვების ზრდით. ბულგარეთიდან განხორციელებული იმპორტი კი ნავთობპროდუქტების ხარჯზე გაიზარდა.

2023 წლის მე-3 კვარტალში, უმეტესწილად, აქტიური ტურისტული სეზონის გამო, პოზიტიური მიმდინარე ანგარიში დაფიქსირდა და 164 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 2%-ს შეადგენს. თუმცა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი ყოველწლიურად 172 მლნ აშშ დოლარით ნაკლები იყო სავაჭრო დეფიციტის გაზრდისა და ფულადი გზავნილებისა და ფულადი გზავნილების შემოდინების მაჩვენებლის შემცირების გათვალისწინებით. 2023 წლის მე-4 კვარტალში ფულადი გზავნილებიდან შემოსული და ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები განაგრძობდა შემცირებას საქონლის იმპორტის შემცირების ფონზე. ამგვარად, წინა წლის მსგავსად, 2023 წელს მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაბალ დონეზე შენარჩუნება.

2023 წლის მე-3 კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიური 61%-ით შეცირდა, რაც, ნაწილობრივ, საბაზო ეფექტით იყო განპირობებული და 316 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საერთო ჯამში, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ის 3.9% შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების მთავარი მიზეზი საკრედიტო ინსტრუმენტების შემცირება და რეინვესტირება იყო. კაპიტალში ჩადებული ინვესტიციების უდიდესი ნაწილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს წარმოადგენდა, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმეტესობა ფინანსებისა და სადაზღვევო სექტორებში განხორციელდა ([საქსტატი](#)).

საჯარო ფინანსები

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე სამთავრობო ხარჯებმა 2023 წელს 16,928 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 10.3%-ით აღემატება. ამგვარი ზრდა, ძირითადად, განპირობებული იყო სოციალურ შეღავათებსა (+12.5% წ/წ) და საქონლისა და სერვისების გამოყენებაზე (+14.3% წ/წ) გაწეული ხარჯებით, საპროცენტო ხარჯის ზრდის მაჩვენებელი კი წლიურ +58.3%-ს შეადგენდა. საერთო ბიუჯეტში მთლიანმა შემოსავალმა 18 716 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 13.8%-ით მეტია. ეს უკანასკნელი განპირობებული იყო დამატებითი ღირებულების გადასახადის (+12.6% წ/წ), საშემოსავლო გადასახადის (+15.5% წ/წ) და მოგების გადასახადის (+10.4% წ/წ) შედეგად მიღებული შემოსავლის ზრდით. 2023 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა 1,981.1 მილიონი ლარი შეადგინა, (მშპ-ს 2.5%), რაც დიდად არ განსხვავდება წინა წლის მაჩვენებლისაგან ([საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023](#)).

სახელმწიფოს სავალ ვალდებულებები (რომლებიც მოიცავს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალს) წინა წელთან შედარებით 10.1%-ით გაიზარდა და 32,482.2 მლნ ლარი შეადგინა 2023 წლის მე-4 კვარტალში (მშპ-ის 39.3%). გარდა ამისა, საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში 2%-ით შემცირდა და 73% შეადგინა, რამაც მცირედით შეამცირა ქვეყნის მოწყვლადობა გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ.